

Erasmus + mobility for teaching/training in University of Alicante (Spain)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულ ვებ-გვერდზე მოვიძიე ინფორმაცია Erasmus + კონკურსთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა ალიკანტეს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (UA) 5 სამუშაო დღიან ვიზიტს. ალიკანტეს უნივერსიტეტის საიტზე გავეცანი ინფორმაციას რომ, უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო ბიოსამედიცინო ინჟინერია და საკმაოდ მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით იყო აღჭურვილი. ამან მომცა მოტივაცია რომ მიმელო აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა.

მოხილობის პერიოდი მოიცავდა 14-18 ნოემბერს, ხუთი სამუშაო დღე. UA-ს მხრიდან ჩემი მასპინძელი პროფესორები იყვნენ ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხოსე გარსია და კოორდინატორი დანიელ რუიზი. უნივერსიტეტში ვიზიტისას გავეცანი მიმდინარე სასწავლო პროცესების სპეციფიკაციებსა და თავისებურებებს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ლაბორატორიებისა და სხვა სასწავლო ინფრასტრუქტურის დათვალიერებასა და გაცნობას. მოხილობის პერიოდში წვდომა მომეცა ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაზე.

სასწავლო პროცესში ჩემი ჩართულობით შედგა რამდენიმე სალექციო შეხვედრა სტუდენტებთან სადაც ძირითადად განხილული თემები იყო 3D მოდელირების როლი და გამოყენების მაგალითები თანამედროვე მედიცინაში. ასევე ჩავატარე რამდენიმე პრაქტიკული შეხვედრა სტუდენტებთან სადაც ავაგეთ და დავბეჭდეთ სისხლძარღვის ანევრიზმის სამ განზომილებიან მოდელი სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. შეხვედრების დასრულების შემდეგ გავეცანი სტუდენტების მიერ შექმნილ პროექტებს, რომელიც მოიცავდა თანამედროვე სამედიცინო აპლიკაციებისა და ელექტრონულ მოწყობილობებს.

მოხილობის ბოლოს შევხვდი ალიკანტეს უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის პროფესორებს რომლებთანაც პანელური დისკუსიის ფორმატში განვიხილეთ ჩვენი სასწავლო პროგრამების თავსებადობა და დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.





